ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1624489

ნომერი: AR1264100

თარიღი : 07.11.2014

გაცემის თარიღი : 03.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N4ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სიხარულიძე პ/ნ 01023003590
- თბილისი სანზონა კორ. 10"ბ" ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

შპს „გოლდ გურია“-ს დირექტორმა დავით სიხარულიძემ 07.11.2014 წ. #AR1264100 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 13.05.2014 წ. ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაია N4ბ-ში არსებულ საკადასტრო

ერთეულზე (საკადასტრო კოდი – 01.14.05.008.179, მიწის ნაკვეთის ფართობი: 1600 კვ.მ) კომერციული დანიშნულების შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1240241 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 11.09.2014 წლის #1471987 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა, ავტოტექმომსახურების ბოქსები, არსებული შენობა–ნაგებობის (ავტოტექმომსახურეობა და საწყობი) რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენებით) დაფიქსირება.
სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით.
დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დამატება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ობიექტის დასახელება უნდა დაფიქსირდეს: – კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა, ავტოტექმომსახურების ბოქსები, არსებული შენობა–ნაგებობის (ავტოტექმომსახურეობა და საწყობი) რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენებით);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ფუნქციაში დაემატოს - დამხმარე;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი:
- „მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი“;
- სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობის მდგრადობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავედ არსებული შენობა–ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.05.2014 წ. #1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 11.09.2014 წლის #1471987 ბრძანებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.